ქ. ქუთაისის მერია

ქ. ქუთაისში გზების (ფარნავაზ მეფის ქუჩა, თბილისის ქუჩა II შესახვევი, ერევნის ქუჩა და ვეტერანების (შმიდტის) ქუჩა - ასფალტის საფარით მოწყობა) კაპიტალური სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ქუთაისი
1

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის ——— 3
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ——— 4
3. ტექნიკური დავალება——— 6
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ——— 8
5. აფიდავიტი ——— 13
6. სატენდერო წინადადება ——— 14
7. რეკვიზიტები ——— 16
8. ანალოგიური მიწოდების ჩამონათვალი (დანართი №4) ——— 17
. ინფორმაცია მატერიალურ–ტექნიკური ბაზის
შესახებ (საკუთარი ან იჯარით) (დანართი 5) ——— 18

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწოფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა_ შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან და გამარტივებული ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდეტმა (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, ასევე – მათი) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე საჯაროსა–მართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არ არსებობის შესახებ.

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან.

გ) პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის ხელმოწერილი ინფორმაცია სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთის დღიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღის განმავლობაში (დანართი №2).

2.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან.

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

გ) პრედენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ინფორმაცია სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღის განმავლობაში (დანართი №2).

2.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ხარჯთაღრიცხვის ფორმა ტექნიკური დავალების შესაბამისად;

ბ) ინფორმაცია მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესახებ (დანართი №5);

გ) ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (სავალდებულოა მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება, რომელთა ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 მლ. ლარს). დანართი №4

დ) ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ;

ე) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები. (დანართი №3).

2.4. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს:

ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – ტენდერის გამოცხადების თარიღიდან (სტატუსი ,,ტენდერი გამოცხადებულია" მინიჭებისას);

ბ) ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – წინადადების მიღების დაწყების თარიღიდან (სტატუსი ,,წინადადების მიღება დაწყებულია" მინიჭებისას).

2.5. ამ პუნქტის 2.1. და 2.2. პუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები დედნის სახით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

2.6. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე,

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.7. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის ოდენობა, რომელიც შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს. ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება :

ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით – სატენდერო წინადადების მიღების დაწყების თარიღიდან (სტატუსი ,,ტენდერი გამოცხადებულია" მინიჭებისას);

ბ) ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში არანაკლები 60 (სამოცი) კალენდარული დღით – სატენდერო წინადადების მიღების თარიღიდან (სტატუსი ,,წინადადების მიღება დაწყებულია" მინიჭებისას).

2.8 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) % ოდენობით. აღნიშნული საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომელიც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების თარიღს.

2.9. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (დანართი №1) სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე.

3. ტექნიკური დავალება:

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები იხილეთ მიმაგრებულ ფაილში სახელწოდებით ,,ტექნიკური დავალება".

დამატებითი პირობა: 1. ტენდერში მონაწილე პირს უნდა ჰქონდეს ბოლო 2 წლის მანძილზე ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება და მინიმუმ 3 მლ. ლარის სამუშაოები შესრულებული, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ცხრილის სახით სატენდერო წინადადებასა და ტექნიკურ დოკუმენტაციასთან (ხარჯთაღრიცხვა) ერთად:

№	ანალოგიური მიწოდების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით	შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება, რეკვიზიტები	ხელშეკრულების ღირებულება	მიწოდების წელი

2. ორგანიზაცია, რომელიც გაიმარჯვებს ტენდერში ვალდებულია ორი წლის ვადაში უზრუნველყოს დაზიანებული გზის საფარის აღდგენა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ.ქუთაისი 2011 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში ,,შემსყიდველი“) ქალაქის მერის, გიორგი თევდორაძი სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3,

მეორეს მხრივ _____ , (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, (მისამართი: _____), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი “ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ქ. ქუთაისში გზების კაპიტალური სამუშაოების ჩატარება (ფარნავაზ მეფის ქუჩა, თბილისის ქუჩა II შესახვევი, ერევნის ქუჩა და ვეტერანების (შმიდტის) ქუჩა - ასფალტის საფარით მოწყობა).

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

2.3 კლასიფიკატორის კოდი – 45233120.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ———————————— ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით;
4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;
4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ;
4.6 ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს სამუშაოს შესრულების მოცულობას და ხარისხს.

5. სამუშაოს შესრულების ვადა

5.1 სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღით;
5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზა ჩაატაროს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“;
6.3 მიმწოდებლის მიერ ობიექტი საბოლოოდ მიღებულად ჩაითვლება სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე;
6.4 მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიური შესრულების დადასტურების შემდეგ;
6.5 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი;

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ,,მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე;
7.2 ,,მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა;
ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება;
გ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ–ს ანგარიშ–ფაქტურა.
7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო;
7.4 ანგარისშწორების ვადაა სამუშაოს შუალედური და/ან საბოლოო შესრულების აქტის დამტკიცებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;
7.5 ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1046 ბრძანებით დამტკიცებული ,,საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ " ინსტრუქციის შესაბამისად.

7.6 მიმწოდებლის მოთხოვნით, მხარეთა შორის 50%–ის ოდენობით წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი საბანკო გარანტია საავანსო გადახდის თანხაზე, რომელიც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;
7.7 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას;

8. გარანტია

8.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს სამუშაოს მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.
8.2 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება **ორი** წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

9.ფასები

9.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;
9.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.
9.3 ხელშეკრულების მოქმედების პირობებში დასაშვებია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ით გაზრდა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.3 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განძრახვის შესახებ.
10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული

სატენდერო წინადადებაში;
11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
–შესასრულებელი სამუშაოების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია
12.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
12.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
12.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

13.1 გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და რომელიც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;
13.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო;
13.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყონებლივ დაბრუნება.

14. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

14.1 დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– შესასრულებელ სამუშაოთა თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის 300000 (სამასიათასი)ლარს,
14.2 თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის სატენდერო წინადადებით (გრაფიკით) გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას , დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე შეუსრულებული სამუშაოს ღირებულების 0.1%–ის ოდენობით;
14.3 იმ შემთხევევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;
14.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;
14.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

18. დაუძლეველი ძალა

18.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
18.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
18.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
19.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღით;
24.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

სატენდერო კომისიის აპარატი – ნოდარ მიქიაშვილი: ტელ: 8(431) 24 01 64.
ელ. ფოსტა: **nodiko29@mail.ru**.

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდეროწინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის ა წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდეროწინადადებისწარდგენაანწარდგენისგანთავისშეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არგაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადებისგან საჯაროების მომენტამდე.

☐ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლადგანსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1]მუხლის შესაბამისად.

დანართი №2

სატენდერო წინადადება

თარიღი: _____ წ.
(ტენდერის გამოცხადების თარიღი)

ვის: <u>თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერია</u>
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: _____
(პრეტენდენტის დასახელება)

შევისწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია. თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ _____ და
(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: _____ ლარი.

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ _____ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ
(სამუშაო, საქონლის მიწოდება, მომსახურება)

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების („შემდგომ ხელშეკრულება“) ძალაში შესვლიდან _____. (სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად

(დღე, თვე, წელი)

აქ შეიძლება ჩაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები ან დაწყება–დასრულების კონკრეტული თარიღი)

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენი სატენდერო წინადადება უზრუნველყოფილია გარანტიით (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში).

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება _____
(საბანკო გარანტია, დაზღვევა ან სხვა)

შემდეგ თანხაზე: _____ (ხელშეკრულების შესრულების
(ციფრობრივად, სიტყვიერად)

უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში).

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაშია ატვირთვიდან ____ დღის განმავლობაში.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონსა" და ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ" დებულებას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

5._____

დირექტორი: _____

(ხელმოწერა)

1. რეკვიზიტები:

პრედენდენტის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

დანართი №4

ტენდერში მონაწილე პირს უნდა ჰქონდეს ბოლო 2 წლის მანძილზე ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება და მინიმუმ 3 მლ. ლარის სამუშაოები შესრულებული, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ცხრილის სახით:

№	ანალოგიური მიწოდების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით	შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება, რეკვიზიტები	ხელშეკრულების ღირებულება	მიწოდების წელი

დანართი 5.

ინფორმაცია მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესახებ (საკუთარი ან იჯარით)

№	ტექნიკის და ტრანსპორტის დასახლება	განზომილება	რაოდენობა
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			